

## ქარდაგი

მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა თბილისში, კალას ციხეში, სპარსთა მეფის პიტიახში იდგა, როგორც მოგვითხრობს ქართლის მოქცევის ქრონიკა, აღაშენეს „აზნაურთა ეკლესია იგი წმიდად მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა“.<sup>1</sup> ასე წერია ქართლის მოქცევის ქრონიკის როგორც შატბერდულ, ისე ახლად აღმოჩენილ სინურ რედაქციებში, ჭელიშურ ნუსხაში კი სიტყვა „დაამოთაულეს“ ჩანაცვლებულია სიტყვით „მიათაულეს“, რაც ტექსტის აზრს არ ცვლის, მხოლოდ აზუსტებს ჩვენთვის (და, ალბათ, ჭელიშურის გადამწერისთვისაც) უცნობი სიტყვის „დაამოთაულეს“ მნიშვნელობას, სიტყვისას, რომელიც არ გვხვდება არცერთ სხვა ძველქართულ წერილობით წყაროში, „მითაულვა“ კი ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია ასე: „მიღება, შეწყალება, მირთმევა, შეწყნარება, ‘მითაულე ნეფსით შესანირავი ესე ჩუენი’“.<sup>2</sup> „მოქცევაჲ ქართლისადს“ ციტირებულ ნაწყვეტში კიდევ ერთი ისეთი სიტყვაა, რომელიც ძველქართულ ტექსტებში სხვაგან არ გვხვდება, გარდა „მოქცევაჲს“ შატბერდული და სინური ნუსხებისა. ეს არის „ქარდაგი“, რომელიც ეკლესიას ჰქონია სოფლებთან ერთად. ამ სიტყვის მნიშვნელობის გარკვევის პირველი ცდა წარმოდგენილია ქართლის მოქცევის ქრონიკის ე. თაყაიშვილისეულ რუსულ თარგმანში, რომელშიც ამ პასაჟის თარგმანი ასე უღერს: „При нём (სპარსთა მეფის პიტიახშის, ი. გ.) дворяне выстроили святую церковь в Мцхете и подчинили её большой церкви со своими деревнями и поместьями“.<sup>3</sup> თარგმანიდან ირკვევა, რომ, ე. თაყაიშვილის აზრით, „ქარდაგი“ ყოფილა „მამული“ (поместье), „დამოთაულება“ კი ნიშნავს დაქვემდებარებას (подчинять). „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონში“, რომელიც 2005-2020 წლებში გამოვიდა, „დამოთაულება“ განმარტებულია როგორც „გათანაბრება“,<sup>4</sup> „მითაულვა // მითვალვა“ - „ჩაბარება, მითვლა“,<sup>5</sup> „ქარდაგი“ კი – როგორც „მამული, აგარაკი, სახნავ-სათესი მიწა“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> აბულაძე, *ძეგლები*, გვ. 92. სპარსთა მეფის პიტიახშის ქართლში შემოსვლა დაკავშირებულია 368 წლის მოვლენებთან (მუსხელიშვილი, *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*, გვ. 55-57).

<sup>2</sup> აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გვ. 244.

<sup>3</sup> Такайшвили, *Три Хроники*, გვ. 31.

<sup>4</sup> *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი*, I, გვ. 226.

<sup>5</sup> *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი*, II, გვ. 109.

<sup>6</sup> *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი*, III, გვ. 288.

ს. ჯანაშია, რომელმაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეს ცნობა მოიხმო, ადრეფეოდალური ხანის საქართველოში მინათმფლობელობის ჩასახვა-განვითარების პრობლემათა კვლევისას, როგორც ჩანს, არ იზიარებდა ე. თაყაიშვილის მოსაზრებას და მიაჩნდა, რომ, რამდენადაც ტერმინი „ქარდაგი“ გარეგნულად ირანულ სიტყვას ჰგავს, მის განმარტებაში გადამწყვეტი სიტყვა ირანისტებს ეკუთვნით, თუმცა თვითონაც გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ქარდაგი“ შეიძლება იყოს „სახლი“ ან „მუშაკი“.<sup>1</sup>

გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშიასაგან განსხვავებით, იზიარებს ტერმინ ქარდაგის ექვთიმე თაყაიშვილისეულ გაგებას და მიაჩნია, რომ ქარდაგი უნდა იყოს იგივე, რაც „აგარაკი“ და „დასტაკერტი“, რომლებიც ხშირად გვხვდება ანალოგიურ კონტექსტში „სოფელთან“ („დაბასთან“) ერთად.<sup>2</sup>

როგორც ს. ჯანაშია, ისე გ. მელიქიშვილიც ქართლის მოქცევის ქრონიკის ამ ცნობას, რომელშიც ქარდაგი ფიგურირებს, მოიხმობს საქართველოში ფეოდალიზმისა და ფეოდალური მინათმფლობელობის წარმოშობა-ფორმირების პრობლემათა კვლევისას, ხოლო თვით ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრისას მხოლოდ ვარაუდებს გვთავაზობს. ამასთან, სიტყვის წარმოშობასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი სვამს კითხვას: „ქარდაგის“ სახით ხომ არ გვაქვს საქმე პართულ-სომხურ-სირიული (არამეული) წამომავლობის ტერმინის „დასტაკერტის“ დეფექტურ დანერილობასთან,<sup>3</sup> ს. ჯანაშიას კი, როგორც უკვე ითქვა, მიაჩნდა, რომ ამ სფეროში „გადამწყვეტი სიტყვა ირანისტებს ეკუთვნის“.<sup>4</sup>

„ქარდაგი“ ქართველი ირანისტების კვლევის საგნად იქცა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ირანისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მეორე მსოფლიო ომამდე ირანში მიკვლეული სასანიანი შაჰინშაჰების ისტორიული შინაარსის რელიეფები, შაბურის, ნარსეს და ირანის მაგუპატ კარტირის ვრცელი ლაპიდარული წარწერები, რომელთა შესწავლამ და პუბლიკაციებმა ახლებური შუქი მოჰფინა არაბობამდელი ირანისა და მისი გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ისტორიას.

მ. ანდრონიკაშვილი 1966 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, ირანული ენებიდან სხვა ნასესხობათა შორის, განიხილავს ქართლის მოქცევის შაჰ-

<sup>1</sup> ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე*, გვ. 286.

<sup>2</sup> Меликишвили, *К истории Древней Грузии*, გვ. 27, 414.

<sup>3</sup> Меликишвили, *К истории Древней Грузии*, გვ. 215.

<sup>4</sup> ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე*, გვ. 286.

ბერდულ ნუსხაში დადასტურებულ სიტყვასაც – „ქარდაგი“<sup>1</sup> და თვლის, რომ „ქარდაგი“ კანონზომიერი შესატყვისია საშუალო სპარსული სიტყვისა „kartak“, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „ნაკვეთი“, „ნაჭერი“ და რომელიც თავისთავად ნაწარმოებია ძველი სპარსული ძირიდან krt = „ჭრა“.

მ. ანდრონიკაშვილი შეუძლებლად თვლის, რომ „ქარდაგი“ მიღებული იყოს dastakart-ის დეფექტური დანერილობით, როგორც ვარაუდობდა გ. მელიქიშვილი, თუმცა მას შესაძლებლად მიაჩნია, dastakart-ის მეორე ელემენტი „კარტ“ იგივე „ნაკვეთი“ იყოს.<sup>2</sup> რაც შეეხება ქართული „ქარდაგის“ მნიშვნელობას, როგორც მ. ანდრონიკაშვილი წერს, ის შეიძლება იყოს „სოფელი, მამული, აგარაკი, სახნავ-სათესი მიწდორი, მიწის ნაკვეთი, სათიბი და სხვა მრავალი“.<sup>3</sup> ავტორს აქ, ვ. აბაევის ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე დაყრდნობით, მოაქვს სიტყვა „ქარდაგის“ მნიშვნელობა ოსურში, ერთადერთ ცოცხალ ჩრდილო-ირანულ ენაში: „kaerdæg-ბალახი“, სიტყვასიტყვით „მოსაჭრელი“, „მოსაცელი“, სიტყვიდან kaerd-ჭრა.<sup>4</sup>

1966 წელსვე გამოქვეყნდა კიდევ ერთი ქართველი ირანისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნის, ვ. გაბაშვილის ქარდაგისადმი მიძღვნილი სტატია.<sup>5</sup> სტატიის დასაწყისში ვ. გაბაშვილი წერს, რომ ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესწავლას მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მსესხებელი ქვეყნის (საქართველო, სომხეთი), არამედ საკუთრივ სასაზღვრო ირანის საზოგადოებრივი წყობილების და ეკონომიკური ურთიერთობების გასათვალისწინებლადაც და შენიშნავს, რომ, როგორც ცნობილია, ესა თუ ის ტერმინი შეიძლება ირანული წარმოშობისა იყოს, მაგრამ მისი მნიშვნელობა ადგილობრივ ვითარებას შეესაბამებოდეს. ეს ტერმინები ორგანულად დაუკავშირდა ქართულ იდეოლოგიურ სინამდვილეს და თანდათან ირანულისაგან მკვეთრად განსხვავებული შინაარსობრივი გამოხატულება მიიღეს, „მაგრამ თითქმის ყოველთვის აუცილებელი ხდება მათი თავდაპირველი მნიშვნელობის გათვალისწინება“.<sup>6</sup> შემდეგ ავტორი განიხილავს მოსაზრებებს „ქარდაგის“ შესახებ, გამოთქმულთ ს. ჯანაშიასა და გ. მელიქიშვილის მიერ, რომელთაც პირველებმა მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება „ქართლის მოქცევის“ ამ ცნობას, რომელშიც ქარდაგია ნახსენები.

<sup>1</sup> ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები*, გვ. 195, 207, 390, 391.

<sup>2</sup> ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები*, გვ. 391.

<sup>3</sup> ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები*, გვ. 290, 195, 207.

<sup>4</sup> ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები*, გვ. 391.

<sup>5</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია*.

<sup>6</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია*, გვ. 110, 111.

მიუხედავად იმისა, რომ ს. ჯანაშიამ ღიად დატოვა „ქარდაგის“ კონკრეტული მნიშვნელობის განსაზღვრა და მხოლოდ აღნიშნა, რომ ეს სიტყვა ირანულს ჰგავს, ვ. გაბაშვილმა საჭიროდ ჩათვალა, ციტატის სახით მოეტანა ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომელსაც თვითონაც სავსებით ეთანხმება: „სოფლები და ქარდაგები გამოყოფილი იყო აზნაურთა საადგილმამულო ფონდიდან და ამრიგად უკვე მოძრავი მამულები აქვთ აზნაურობასა და ეკლესიას და მათი პიროვნული განმკარგულებელნი სწორედ აზნაურნი (წარჩინებულნი) არიან“.<sup>1</sup> ვ. გაბაშვილს მიაჩნია, რომ არ არის დამაჯერებელი გ. მელიქიშვილის ვარაუდი ქართული წყაროს „ქარდაგის“ სომხურ-პართულ-სირიულ *dastkert*-თან კავშირის თაობაზე, მაგრამ მართებულად მიაჩნია მისი დასკვნა, რომ „აგარაკი“ და „ქარდაგი“ გვიდასტურებენ კერძო მინათმფლობელობის არსებობას მეოთხე საუკუნის ქართლში.<sup>2</sup>

ტერმინ ქარდაგის შესახებ ს. ჯანაშიასა და გ. მელიქიშვილის მოსაზრებათა განხილვის შემდეგ ვ. გაბაშვილი ამბობს, რომ „ქარდაგი“ იგივეა, რაც საშუალო სპარსული „*kartak*“ (ვარიანტი: „*kirtak*“), რომელიც დამოწმებულია სასანური ირანის როგორც ეპიგრაფიკულ, ისე იურიდიულ ძეგლებში და რომ ეს ტერმინი გავრცელებული იყო სხვა ირანულ ენებშიც (მაგალითად, სოლდურში: „*kerdak*“). ნაშრომის 114-ე გვერდზე ვ. გაბაშვილს მოაქვს სიტყვა „*kartak*“-ის ხმარების ყველა შემთხვევა მესამე საუკუნის ირანის დიდი მაგუპატის კარტირის ნაყმ-ი-რაჯაბსა და ნაყმ-ი-რუსთემში ამოკვეთილი წარწერებიდან ე. ჰერცფელდის პუბლიკაციის მიხედვით<sup>3</sup> და ასკვნის, რომ მესამე საუკუნის ამ სპარსულ წარწერებში *kirtak* (მრავლობითში: *kirtakan*) იხმარება „მოქმედების“, „საქმის“, „აქტის“, „საქმის კეთების“, „საქციელის“ მნიშვნელობით. მაგალითად, კარტირის ნაყმ-ი-რუსთემის წარწერის მე-4 სტრიქონში წერია: „სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებს დიდნი კარტაკნი“, მე-17 სტრიქონში კი ასევე მრავლობით რიცხვში მოხსენიებულია „ღვთაებრივნი დიდნი კარტაკნი“.

ადრეული სასანური ხანის ამ ორი ეპიგრაფიკული ძეგლის მონაცემთა განხილვას მოსდევს ვ. გაბაშვილის ამ ნაშრომის ინფორმაციით ყველაზე დატვირთული ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია მონაცემები *kartak*-ის შესახებ, ამოკრეფილი სასანური ხანის კიდევ ერთი წერილობითი პირველწყაროდან, VI საუკუნეში შედგენილი სასამართლოს განჩინებათა კრებულიდან

<sup>1</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 101; ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე*, გვ. 286.

<sup>2</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 113; Меликишвили, *К истории Древней Грузии*, გვ. 415.

<sup>3</sup> Herzfeld, *Paikuli*, Glossary, გვ. 29, N 560, 561.

(„ათასი განჩინების წიგნი“ – matakdan i hazar datastan): სასანიანთა იმპერიაში მოსამართლეები განაჩენის გამოტანისას განჩინებათა ამგვარი კრებულებით ხელმძღვანელობდნენ, რამდენადაც არ არსებობდა არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის კოდექსები.

სიტყვა „kartak“ სასანური ხანის ამ იურიდიულ დოკუმენტში, როგორც აღნიშნავს ვ. გაბაშვილი, ბევრჯერ არის ნახმარი სხვადასხვა მნიშვნელობით, მათ შორის იმ მნიშვნელობებითაც, როგორებითაც ეს სიტყვა ნახმარია კარტირის წარწერებში („მოქმედება“, „საქმე“, „საქმის კეთება“), მაგრამ უფრო ხშირად ნიშნავს „აქტს“, „სამართლებრივ მოქმედებას“, „საქმეებს“, „ფიქსირებულ მოქმედებას“, „რთულ საქმეს“, „გადანყვეტილებას“, „შესრულებას“, „მოვალეობას“, „დაქვემდებარებას“, „მთავარ ფუნქციას“, „მონესრიგებას“, „გაყოფას“ („განყოფილებას“), „ცდას“ („ლონისძიებას“), „აღმასრულებელ მოქმედებას“.<sup>1</sup>

ვ. გაბაშვილი განსაკუთრებით გამოყოფს „მატაკდანის“ იმ მუხლებს, რომლებშიც „kartak“ ნიშნავს „იმას, რაც სათანადო აქტის თანხმობაში იმყოფება“ და იმასაც აღნიშნავს, რომ სიტყვა „დივან“-თან ერთად „კარტაკი“ ნიშნავდა სახელმწიფო ან აღმასრულებელ დაწესებულებას. ვ. გაბაშვილის აზრით, არ შეიძლება, არ მიექცეს ყურადღება იმას, რომ სიტყვა „kartak“ გვხვდება „მატაკდანის“ იმ თავების სათაურებში, რომლებშიც საუბარია „ქონების“ (xvāstak) დამტკიცება – უფლებრივ მდგომარეობაზე, რადგანაც „ქართული წყაროს ‘ქარდაგი’ დამონმებულია ისეთ კონტექსტში, სადაც ლაპარაკია ეკლესიისათვის ქონების (‘სოფლების’, ‘ქარდაგების’) შეწირვაზე, ყველაფერი ეს, ცხადია, სათანადოდ უნდა გაფორმებულიყო და ამ აქტთან დაკავშირებით გაჩენილიყო შესაფერისი ტერმინი“.<sup>2</sup>

აქ მე, იულონ გაგოშიძე, დავამთავრებდი, რადგანაც, ვფიქრობ, ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოსაზრებაა, მაგრამ ვ. გაბაშვილი აგრძელებს მსჯელობას სიტყვა „ქარდაგის“ განმარტების სხვა შესაძლებლობებზეც და მიუთითებს „მატაკდანის“ XXVI თავის მე-12 და XXX თავის მე-10 პარაგრაფებს, რომლებშიც „kartak“ შესაბამისად ეწოდება მიწის ნაკვეთს (ნაჭერს) და ქონების „ნაწილს“.<sup>3</sup> იქვე მოტანილია ამ მუხლების სპარსული ტექსტი და მათი თარგმანი. ამ მუხლების განხილვა უფლებას აძლევს ვ. გაბაშვილს დაასკვნას, რომ,

<sup>1</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 115.

<sup>2</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 115.

<sup>3</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 117.

„მატაკდანის“ მიხედვით, „კარტაკ“ ნიშნავს არამართო მიწის ნაჭერს (მიწის ნაკვეთს), არამედ ქონების ნაწილსაც. „ასეთივე უნდა ყოფილიყო ‘ქარდაგის’ თავდაპირველი მნიშვნელობა IV საუკუნის ქართლშიც“, – ნერს ვ. გაბაშვილი. იგივე მოსაზრება კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქმულია ამავე გვერდზე მე-4 სქოლიოში, რომელიც მთლიანად მომაქვს: „რა თქმა უნდა, ‘ქარდაგ’-ს ქართულ სინამდვილეში ისეთივე სპეციფიკური თავისებურება შეიძლებოდა ჰქონოდა, როგორიც სასანური ირანიდან მომდინარე სხვა სოციალურ-ეკონომიურ ტერმინებს: ‘ხოდაბუნს’ (საშუალო სპარსული ‘ხვატა-ი-ბუნ’), ‘ხვასტაგს’, ‘ხარკს’ (საშუალო სპარსული ‘ხარაგ’), ‘ბეგარას’ (სპარსული ‘ბიგარ’) და სხვ. მაგრამ ამჟამად ამ თავისებურების ჩვენება არ შეადგენს ჩვენი კვლევა-ძიების მიზანს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზემოთ დასახელებული ტერმინებისგან განსხვავებით ‘ქარდაგი’, როგორც ჩანს, არ შემორჩა ქართულ სინამდვილეს და აღარც წყაროებში გვხვდება. ‘ქართლის მოქცევის’ ქელიშური ვარიანტი ამ ტერმინს არ იცნობს, რასაც უკვე ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება. მანვე აღნიშნა, რომ უფრო ძველია შატბერდული საკითხავი (იხ. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 281)“.<sup>1</sup>

ეს ვარაუდი ისეთი ავტორიტეტული აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსისა, როგორიც იყო ვ. გაბაშვილი, გაბედულებას მმატებს, ვეცადო მისი წამოწყებული მსჯელობის დასრულება „ქარდაგის“ მნიშვნელობის თავისებურებათა შესახებ, რაც იმჟამად არ შეადგენდა მისი კვლევა-ძიების მიზანს (იხ. ზემოთ). მით უმეტეს, რომ სტატიის ბოლოს, სადაც ავტორი პატივს მიაგებს თავის წინამორბედ მკვლევართა – გ. მელიქიშვილისა და, განსაკუთრებით, ს. ჯანაშიას ღვაწლს, კიდევ ერთხელ აზუსტებს ტერმინ „ქარდაგის“ მნიშვნელობას, აღნიშნავს რა, რომ ეს ტერმინი „ნიშნავდა არა მიწათმფლობელობის ამა თუ იმ კატეგორიას (‘აგარაკს’ ან ‘დასტგერდს’), არამედ საადგილმამულო მფლობელობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, ამ საადგილმამულო ფონდიდან გამოყოფილ იმ მიწის ნაჭრებს თუ ნაკვეთებს, რომელნიც აზნაურთა მიერ ეკლესიისათვის იყო შეწირული“ და „ამიერიდან გასათვალისწინებელია ‘ქარდაგის’ ის კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც დადასტურებულია საკუთრივ სასანური ირანის იურიდიულ ძეგლში“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 117.

<sup>2</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 118. როგორც ვ. გაბაშვილი, ისე ს. ჯანაშია აზნაურთა მიერ მცხეთაში აგებულ ეკლესიას წმინდა გიორგის ეკლესიად მოიხსენიებენ, ეყრდნობიან რა „მოქცევას“ ქელიშურ ნუსხას, რომელშიც წერია: „მას ზე აღაშენეს აზნაურთა ეკლესიად გი“

ამგვარად, ახლა, როცა წარმოვადგინე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ამ ცნობის შესახებ ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმული ჩემთვის ცნობილი ყველა მოსაზრება, მიმაჩნია, რომ შეიძლება დავუბრუნდეთ ისევ ამ ცნობას და ვცადოთ გავერკვიოთ, მასთან დაკავშირებულ პრობლემათაგან რომელი შეიძლება ჩაითვალოს გადანწყვეტილად და რომელი მოითხოვს შემდგომ კვლევას, თუკი ასეთი კიდევ დარჩა.

მაშ ასე: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს, რომ მაშინ, როცა თბილისში, კალას ციხეში, იდგა სპარსთა მეფის პიტიანში და ქართლს დაეკისრა ხარკის გადახდა (ე. ი. 370-იან წლებში), აზნაურებმა მცხეთაში ააგეს ეკლესია და ეს ეკლესია მისთვის შეწირული სოფლებითა და ქარდაგებითურთ დაუქვემდებარეს „დიდ ეკლესიას“. არავის უთქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა თვლის, რომ ეს „დიდი ეკლესია“ ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტი – სვეტიცხოველია და ყველა მკვლევარი ასევე მიიჩნევს, რომ „სოფლები და ქარდაგები“ აზნაურებმა გადასცეს თავიანთ აშენებულ ეკლესიას, თუმცა წყაროში ეს პირდაპირ ნათქვამი არ არის. მეტიც, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს შენაწირი აზნაურთა საადგილმამულო ფონდიდანაა. ამ მოსაზრებას არავინ ეწინააღმდეგება და, პირიქით, ამ ცნობას ყველა მიიჩნევს IV ს-ის საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის საბუთად. ამ პრობლემაზე არავინ დავობს, მაგრამ რა არის საკუთრივ „სოფელი“ და „ქარდაგი“, საკამათო და საკითხავი, აი, ეს არის.

„სოფელი“ იმდენად ჩვეულებრივი ცნებაა თანამედროვე ქართველისთვის, რომ აქ, თითქოს, არაფერი უნდა იყოს საეჭვო და საკამათო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დასახლებულ პუნქტს „სოფელი“ მხოლოდ IX-X საუკუნეებში შეერქვა,<sup>1</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კი მეოთხე საუკუნის მოვლენებს

---

წმინდისა მცხეთას“. მაგრამ ესეც, როგორც ჩანს, ქელიშური ნუსხის გადამწერის კონიუნქტურაა: მეოთხე საუკუნის მცხეთაში წმ. გიორგის ეკლესია ვერ აშენდებოდა (მცხეთაში არც არის წმ. გიორგის ეკლესია), რადგანაც წმ. გიორგის კანონიზაცია მოხდა მეხუთე საუკუნის დასასრულს, 496 წელს (Kazhdan, Ševčenko, *George*, გვ. 834-835) და მისი სახელობის პირველი ტაძარი 515 წელს აშენდა ქალაქ ეზრაში (ზორავა) (Mango, *Zorava*, გვ. 2230). საქართველოში სავარაუდოდ წმ. გიორგის უძველესი გამოსახულებები წარმოდგენილია VI საუკუნის მეორე ნახევრის ბრდაძორისა და ალეგის (ხოჟორნის) სტელეებზე (გაგოშიძე, *ადრენტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან*, გვ. 35; გაგოშიძე, *მხედარი წმ. გიორგის უძველესი გამოსახულებები საქართველოში*, გვ. 26, 27). აღსანიშნავია, რომ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით მომზადებულ გამოცემაში ქელიშური ნუსხის ქარაგმიანი „გი“ სქოლიოშია ჩატანილი, ძირითად ტექსტში კი დატოვებულია „ეკლესიაჲ იგი წმინდისა“ (აბულაძე, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, გვ. 92).

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია*, გვ. 139, 140.

აღწერს. ისე კი, სიტყვა „სოფელი“ ძველ ქართულ მწერლობაში შეიძლება აღნიშნავდეს სამყაროს, ქვეყანას, მსოფლიოს, მიწას, მხარეს, ადგილს, მამულს, მიწის ნაკვეთს, სამყოფელს, სავანეს.<sup>1</sup> ასე რომ, იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა მემატრიანე, როცა ამ სიტყვას წერდა, იოლი არ არის.

„მოქცევაჲს“ კონტექსტიდან გამომდინარე, გადაჭრით შეიძლება ერთი რამ ითქვას: „სოფელი“ არ არის „ქარდაგი“ და „ქარდაგი“ არ არის „სოფელი“. მაგრამ, „ქარდაგის“ მნიშვნელობის გარკვევაც იოლი არ ყოფილა და, როგორც ჩანს, ეს სიტყვა უკვე მეთავე საუკუნეში იყო გაუგებარი და ქართლის მოქცევის ქელიშური ნუსხის გადამწერმა „ქარდაგი“ საერთოდ ამოაგდო ტექსტიდან, მაშინ, როცა „სოფელი“ – მისთვის სავსებით გასაგები სიტყვა, დატოვა: დოკუმენტურად ვიცით, რომ შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრები ნამდვილად ფლობდნენ დასახლებულ პუნქტებს, დაბებს (სოფლებს), ცხადია, სხვა ქონებასთან ერთად.<sup>2</sup>

„სოფლისაგან“ განსხვავებით, ტერმინ „ქარდაგს“, როგორც უკვე ითქვა, საფუძვლიანი კვლევა მიუძღვნეს მ. ანდრონიკაშვილმა და, განსაკუთრებით, ვ. გაბაშვილმა და ახლა ნამდვილად ვიცით, რომ ეს სიტყვა საშუალო სპარსულიდან არის ნასესხები და ეს საშუალო სპარსული სიტყვა „კარტაკ“ თავისთავად ნაწარმოებია ზმნისაგან „კარტ“-„ჭრა“ და ის რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა სასანიანთა ირანში.

რას ნიშნავდა „ქარდაგი“ ქართულში, ჯერ მაინც საბოლოოდ არ არის გარკვეული, მაგრამ ვ. გაბაშვილის აზრით, რომელიც არავის გადაუხინჯავს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დამონმებულ კონტექსტს ყველაზე მეტად უდგება „ქარდაგის“-ის მნიშვნელობა, რომლითაც სასანურ ირანში აღინიშნებოდა მიწის ან ქონების ნაწილი.<sup>3</sup>

თავს უფლებას ვაძლევ, დავსვა კითხვა: თუკი ქარდაგი აზნაურის ქონების ნაწილია, ოღონდ ეკლესიისთვის შეწირული, განა სოფელი, რომელიც იმავე ეკლესიას ასევე აზნაურმა შესწირა, მისი ქონების ნაწილი არ იყო, თუ ამ აზნაურმა მთელი თავისი ქონება გაიმეტა შესაწირად? არც „ქარდაგის“ განსაზღვრა მიწის ნაწილად იძლევა შეღავათს. ამ შემთხვევაში უნდა ვამტკიცოთ, რომ სოფელი ისეთი რაღაცაა, რომელსაც მიწასთან კავშირი არა აქვს, ან სოფელი არის მიწის მთელი ნაკვეთი, ქარდაგი კი მისი ნაწილი.

<sup>1</sup> ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსოკონი, გვ. 382, 383.

<sup>2</sup> ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 288-296.

<sup>3</sup> გაბაშვილი, ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია, გვ. 117.



აზნაურთაგან ეკლესიისათვის შეწირული „სოფლებისა“ და „ქარდაგების“ წყვილი კიდევ ერთი დასკვნის უფლებას გვაძლევს: არც „სოფელი“ და არც „ქარდაგი“ არ შეიძლება იყოს რაიმე კონკრეტული მატერიალური ობიექტი, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ IV საუკუნეში აზნაურებს ეკლესიისათვის შეუწირავთ, მართალია, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ მაინც მხოლოდ ორი კატეგორიის ობიექტი, ეს კი ძნელად დასაჯერებელია, თუ გავიხსენებთ მასშტაბებს საეკლესიო მეურნეობისა, რომელიც ეკონომიკის ყველა სფეროს მოიცავდა და რომელიც ივსებოდა სწორედ შეწირულობებით. ეკლესია ფლობდა სოფლებს, ტყეებს, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებს, წყალსადენებს, სასოფლო-სამეურნეო მიწას, ბაღ-ვენახებს, ხოლო მოძრავი ქონების მრავალგვარობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, დავუბრუნდეთ სასაზღვრო ხანის ირანულ წერილობით პირველწყაროებს, რომლებშიც ნახსენებია საშუალო სპარსული სიტყვა *kartak* და ვეცადოთ შევარჩიოთ ამ წყაროებში დაფიქსირებულ მის მნიშვნელობათაგან ისეთი, რომელიც მიესადაგებოდა ძველქართულ ნასესხებ „ქარდაგს“. ეს წყაროებია ზემოთ არაერთხელ ნახსენები VI საუკუნეში შედგენილი სასამართლო განჩინებათა კრებული, ირანის შაჰინშაჰის, შაბურ I-ის და მაგუჰპატ კარტირის III საუკუნის ლაპიდარული წარწერები.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ლომინაძე, *საქართველოს საპატრიარქო და მისი მინათმფლობელობა*, გვ. 15-20. საეკლესიო შეწირულობების მრავალგვარობის საჩვენებლად მომაქვს ნანყვეტი X საუკუნის ერთი იურიდიული დოკუმენტისა – ჯელისა, რომელიც ვინმე ვაჩეს ამოუკვეთია შიდა ქართლში, სოფელ კლდუს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედელზე: „სახელითა ღმრთისაჲთა. ესე ჯელი მე ვაჩე დავნერე და შევწირე წმიდასა ღმრთისმშობელსა ჭალასთუალსა შიგნით სათიბი და სალერწმე, კლდუს გოგიური საგლეხო ა მიწითა; საყანური ა. ნაულე წყალი, აჯმაროს ღმერთმან... დავიდევ დღე ჟამის წირვისთუის, მღვდელმან ლოცვა ყოს... სალხინებელად სულისა ჩუენისა, სალოცველად შვილთა ჩემთათუის“ (გაგომიძე, *სოფელ კლდუს წარწერა „ჯელი“*, გვ. 425).

<sup>2</sup> მე ვსარგებლობ „*matakdan Ī hazar datastan*“-ის ტრანსლიტერაციით, რომელიც რუსული თარგმანის, შესავლის, გლოსარიუმისა და საძიებლის დართვით გამოაქვეყნა ა. გ. ფერიხანიანმა (*Периханян, Сасанидский судейник*), ხოლო ირანის სასანიანი შაჰინშაჰის შაბურის ქაბაბი-ზარდუშტის კომპის კედელზე ამოკვეთილი სამეწარმეო წარწერისა და კარტირის წარწერათა მონაცემები მომაქვს მარტინ სპრენგლინგის პუბლიკაციიდან (*Sprengling, Third Century Iran*).

ტერმინი *kartak* (მრავლობითში – *kartakan*) სასანური ხანის სამართლებრივ განჩინებათა VI საუკუნეში შედგენილ კრებულში არაერთხელ არის ნახმარი სხვადასხვა მნიშვნელობით და მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში ეს სიტყვა ეხება (აღნიშნავს) მიწის ნაკვეთს,<sup>1</sup> მაგრამ აქაც ის განიხილება, როგორც მესამედი ნაწილი (ნაჭერი) და არა თავისთავადი ერთეული, რეალურად კი ამ მუხლში საუბარია ნაკვეთის ფასის (უფრო სწორად, შემოსავლის) მესამედზე.<sup>2</sup> ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ვ. გაბაშვილმაც და აღნიშნა კიდევ, რომ „იგულისხმებოდა არა თვითონ მიწის ვინმეს მიერ მფლობელობა, არამედ ამ მიწის მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილის (მისი შეფასებული ღირებულების) შემოსავლით სარგებლობის უფლება“, რაც, მისი აზრით, „სავსებით შეესაბამებოდა აღმოსავლური მინათმფლობელობის თავისებურებებს“. მიუხედავად ამისა, ვ. გაბაშვილმა, როგორც ზემოთ ითქვა, უპირატესობა მიანიჭა იმას, რომ „*kartak*“ (ქართული ქარდაგი) საკუთრივ სასანურ ირანში გვევლინებოდა მიწის ნაჭრის, ნაკვეთის აღმნიშვნელ ტერმინად.<sup>3</sup> მატაკდანის მონაცემთა გამოწვლილვითი ანალიზი უფლებას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ ტერმინი *kartak* ამ მუხლში მიწის ნაკვეთს დაუკავშირდა იმის გამო, რომ ამ ნაკვეთის ფასი დადგენილი (დეკლარირებული) იყო: „მატაკდანის“ ბევრ სხვა მუხლში სიტყვა *kartak* ითარგმნება, როგორც „დადგენილი“ და კიდევ უფრო ხშირად, როგორც „სასამართლო პროცედურა“, „სასამართლო წარმოებაში მიღებული წესები“, „სასამართლო ნორმები და დადგენილებები“, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია მეფის ბრძანებათა და მთავარი მაგუშატის საყოველთაო წერილების შესაბამისად.<sup>4</sup> მაგრამ, მატაკდანის მიხედვით, *kartak* ტერმინის კიდევ ერთი მნიშვნელობაა „საკულტო რიტუალი“ და საკულტო ხასიათის ფონდი – „საფონდო დანესებულება“ და რომ სწორედ ეს იყო *kartak*-ის ძირითადი მნიშვნელობა, იქიდანაც ჩანს, რომ სასანიანთა ირანში, VI საუკუნეში მაინც, როგორც მატაკდანიდან ირკვევა, ნამდვილად არსებობდა საგანგებო სახელმწიფო უწყება (კანცელარია), სამდივნო, რომელიც განიხილავდა ქარდაგებთან – საკულტო ფონდებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ უწყებას ეწოდებოდა *divan i kartak* (*kartakan*).<sup>5</sup>

იმაზე, რომ სასანიანთა ირანში ტერმინი კარტაკ III საუკუნეშიც საკულტო კეთილმსახურებასთან (ღვთისმსახურებასთან), სულის საცხოვნებელ

<sup>1</sup> Периханян, *Сасанидский судебник*, გვ. 492, 493.

<sup>2</sup> Периханян, *Сасанидский судебник*, გვ. 492, 493.

<sup>3</sup> გაბაშვილი, *ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია*, გვ. 116.

<sup>4</sup> Периханян, *Сасанидский судебник*, გვ. 492, 493.

<sup>5</sup> Периханян, *Сасанидский судебник*, გვ. 465, 492.

საქმიანობასთან ასოცირდებოდა, არაორაზროვნად მეტყველებს ის გარემოება, რომ ეს ტერმინი *kltk'n* (= *kartakan*) – ფორმით წარმოდგენილია ირანის უზენაესი ქურუმის (მაგუპატის) კარტირის ქაბა-ი-ზარდუშტის კოშკის კედელზე ამოკვეთილ წარწერაშიც (სტრიქონი 2, და აქ მისი მნიშვნელობაა „დანესება (დანესებულება) სულისათვის (სულის ცხონებისათვის)“, ამავე წარწერის 1-ელ, მე-4, მე-6, მე-8, მე-9, მე-10 და მე-15 სტრიქონებში იძებნება იგივე სიტყვა ასეთ კონტექსტში: *kl=rtk'n ZY yzd'n*, რაც იკითხება შაბურის წარწერის პართულ (29-ე სტრიქონი) და საშუალო სპარსულ (35-ე სტრიქონი) ვერსიებშიც, რომელთა ბერძნული შესატყვისია *χρεία και θρησκεία των θεων* (68-ე სტრიქონი) – „საქმენი და მსახურებანი ღვთაებათა“. ამ შესიტყვების ინგლისური თარგმანია „the gods affairs and services“.<sup>1</sup>

III და VI საუკუნეების ირანული წერილობითი წყაროების ცნობების ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი ჩანს, რომ სიტყვა *kartak* აშკარად უკავშირდება სულის საცხონებელ რელიგიურ საწესო კეთილმსახურებას: შაბურის წარწერაში ხომ აჭურამაზდას წყალობით რომაელებზე მოპოვებულ გამარჯვებათა გამო შაჰინშაჰისა, სამეფო სახლის წევრებისა და სამეფო სახლთან დაკავშირებული ირანელი დიდებულების სულების საცხონებლად შაჰინშაჰის მიერ „ვარაჰრანის ცეცხლების“ ანუ ზოროასტრული ტაძრებისა და საკურთხევლების აგება-დაარსებასა და მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად ქონების გამოყოფას ეხება,<sup>2</sup> ხოლო ზოროასტრიზმის რეფორმატორის, ირანის უზენაესი ქურუმის, მაგუპატ კარტირის, საქმიანობის ძირითადი სფეროც ხომ ღვთისმსახურება უნდა ყოფილიყო.<sup>3</sup>

მატაკდანში დადასტურებული სულის საცხონებელი ფონდების შესწავლას საგანგებო სტატია მიუძღვნა ა. ფერისხანიანმა.<sup>4</sup> ასეთი ფონდის დამფუძნებელი (შემწირველი) უთუოდ უნდა ყოფილიყო კერძო პირი (შეიძლება ყოფილიყო ქალიც) ან რამდენიმე პირი, რომლებიც ერთობლივად მოქმედებდნენ. ფონდის დანიშნულება იყო თვით დამფუძნებლის და მის მიერ მითითებული მისი ოჯახის წევრების ან გარეშე პირის სულის მსახურება ტაძარში. დაფუძნებისთანავე ფონდს გადაეცემოდა, როგორც წესი, უძრავი ქონება, გამოყოფილი დამფუძნებლის საკუთრებიდან და საკულტო (საკურთხეველი, ტაძარი) ან საზოგადოებრივი (ხიდი, არხი და სხვ.) დანიშნულების ნაგებობა, რომელიც აუცილებლად დამფუძნებლის ხარჯით უნდა ყოფილიყო აშენებული. საკულ-

<sup>1</sup> Sprengling, *Third Century Iran*, გვ. 9, 20, 46-53, 76; Периханян, *Сасанидский судебник*, გვ. 465.

<sup>2</sup> Луконин, *Культура сасанидского Ирана*, გვ. 50-59.

<sup>3</sup> Луконин, *Культура сасанидского Ирана*, გვ. 70-100.

<sup>4</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*.

ტო ნაგებობა შეიძლება ყოფილიყო როგორც ცეცხლის ტაძარი (ვარაჰრანის ცეცხლი), ისე ცეცხლის საკურთხეველიც, რომელიც დაიდგებოდა დიდ ტაძარში, მთავარი საკურთხეველიდან იზოლირებულ ადგილას. ამასთან, ტაძრის აშენებას მოსდევდა მისთვის უძრავი ქონების გადაცემაც, მისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ფონდის დაფუძნებისთანავე იქმნებოდა დოკუმენტი, რომელშიც დამფუძნებელი უთითებდა ფონდის დანიშნულებას, უმეტეს შემთხვევაში, ყოველწლიურ სულის მოსახსენიებელ ლიტურგიას და სხვა საკულტო ქმედებებს, დამფუძნებლისა და მის მიერ მითითებული პირების მოსახსენიებელ ტრაპეზებს, რომელთა ორგანიზებას ხმარდებოდა ფონდში დამფუძნებლის მიერ შეწირული ქონების შემოსავლის წინასწარ განსაზღვრული ნაწილი. ფონდში შეწირული ქონება არ თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადისაგან და ამ ქონებას მართავდა და განკარგავდა დამფუძნებელი ან მის მიერ დანიშნული პირი. დამფუძნებლის უფლებები მემკვიდრეობით გადადიოდა მის შთამომავლებზე.<sup>1</sup> ფონდისათვის შეწირული ქონების შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც რჩებოდა დამფუძნებლის მიერ დადგენილი სანესო მსახურების ანაზღაურებისა და სახელმწიფო გადასახადების დაფარვის შემდეგ, შემწირველის ან მისი მემკვიდრეების საკუთრებაში რჩებოდა.<sup>2</sup> დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ, თუკი მისი მემკვიდრე მცირეწლოვანი იყო, ქონებას განკარგავდა მისი მეურვე. „ბუნებრივ“ მეურვეს (უახლოეს ნათესავს) ეწოდებოდა „სარდარ-ი-ბუტაკ“, დადგენილ მეურვეს კი „სარდარ-ი-კარტაკ“. სულის მოსახსენიებელი ფონდი, თუ ის არ იყო ტაძარი ან საზოგადოებრივი დანიშნულების რაიმე ნაგებობა, შემწირველის და მისი მემკვიდრეების ან შემწირველის მიერ დანიშნული პირის (მეურვის) და მისი მემკვიდრეების მფლობელობაში რჩებოდა, თუმცა არასდროს ირეოდა მის კერძო საკუთრებაში.<sup>3</sup> ფონდის შექმნისას აუცილებლად იწერებოდა საგანგებო დოკუმენტაცია, რომელშიც აღინუსხებოდა ფონდის დანიშნულება, დადგენილი რეგულაციები და მათი შესრულების პირობები. ასეთი დოკუმენტი მოხსენიებულია შაბურის წარწერის პართული ტექსტის მე-19 სტრიქონში და ეწოდება *ptyhštr*.<sup>4</sup>

სულის მოსახსენიებელი ფონდების დაფუძნების წესი, როგორც წერს ა. ფერისხანიანი, ირანში ჩამოყალიბდა სასანურ ხანამდე ბევრად უფრო ადრე (ასეთი ფონდების არსებობა დადასტურებულია ძველ ნისაში ქ. წ. პირველი

<sup>1</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*, გვ. 3, 4.

<sup>2</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*, გვ. 5.

<sup>3</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*, გვ. 8.

<sup>4</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*, გვ. 11.

საუკუნის მარნის გათხრების დროს აღმოჩენილი დოკუმენტებით<sup>1)</sup> და შემდგომში ირანის ფარგლებს გარეთაც ფართოდ გავრცელდა. ასე, მაგალითად, ეს წესი ადრესასანურ ხანაშივე გადაიღეს მანიქეველებმა. სულის საცხოვნებელი ფონდები თითქმის უცვლელად, ძველი ირანული ფორმით XX საუკუნეში კიდევ მოქმედებდა ზოროასტრულ თემებში როგორც ირანში, ისე ინდოეთში, ფარსებთან. ისლამურ სამყაროში გავრცელებული ვაკფიც, ა. ფერიხანიანის აზრით, ირანული მემკვიდრეობაა, რომელიც არაბებმა მიიღეს VII საუკუნეში სასანიანთა ირანის დაპყრობის შემდეგ.<sup>2</sup> ვფიქრობ, რომ ქართლის სამეფო ამ სფეროშიც ვერ აცდებოდა ირანის გავლენას, მით უმეტეს III საუკუნეში, როდესაც შაბური, ირანის მეორე სასანიანი შაჰინშაჰი, 262 წელს ქართლის მეფის, ამაზასპის, სულის მოსახსენიებელ ფონდს აარსებს ნაყშ-ი-რუსთემში, პერსეპოლისის მახლობლად, ხოლო კარტირი, ირანის მაგუჰატი, იმავე ხანაში შესრულებულ წარწერაში მოგვითხრობს, რომ ირანსა და მისი გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებში, მათ შორის ქართლშიც, ვარაჰრანის ბევრი ცეცხლი დაანთო, ე. ი. ცეცხლის ტაძრები დააარსა.<sup>3</sup> III-IV საუკუნეების ქართლში არაერთი ზოროასტრული ტაძარი მოქმედებდა (გავისხენოთ მცხეთას მისული წმინდა ნინო, რომელიც ხიდიდან ხედავდა „ცეცხლის მსახურსა მას ერსა და მოგვებასა“<sup>4</sup>). ძნელი წარმოსადგენია, რომ არ გავრცელებულიყო აქ სულის მოსახსენიებელი ფონდების დაფუძნების წესი და ისიც გასაგებია, რომ ასეთ შენირულობას, როდესაც ტაძარს რჩებოდა შენირული ქონების შემოსავლის, დოკუმენტურად (წერილობით) დეკლარირებული ნაწილი, შერქმეოდა სახელად ქარდაგი – kartak სიტყვის ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით: „განცხადებული“, „დადგენილი“, „დეკლარირებული“ (იხ. ზემოთ).

უეჭველია, რომ სატაძრო შენაწირის ეს ფორმა საქართველოში ზოროასტრულ ტაძრებს შემოჰყვა და შემდეგ, IV საუკუნეში, ეს ტრადიციული ზოროასტრიული წესი ისეხა ახალფეხადგმულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელსაც ლეგალური არსებობის უფლება მხოლოდ 313 წელს მიენიჭა მილანის ედიქტით, ქართლში კი ოფიციალურად აღიარებულ იქნა IV საუკუნის მეორე მეოთხედში.

<sup>1</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*, გვ. 3.

<sup>2</sup> Периханян, *Частные целевые фонды в древнем Иране*, გვ. 18.

<sup>3</sup> Sprengling, *Third Century Iran*, გვ. 14, 65; Меликишвили, *К истории Древней Грузии*, გვ. 392; Луконин, *Культура сасанидского Ирана*, გვ. 87.

<sup>4</sup> აბულაძე, *ძველები*, გვ. 118.

ვფიქრობ, ქარდაგის წარმომავლობაზე მსჯელობის პროცესში გაირკვა აზნაურებისაგან ეკლესიისათვის შეწირული „სოფლების“ მნიშვნელობაც. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ამ ცნობით, „სოფელი“ არის უძრავი ქონება, ეკლესიისათვის შეწირული მამულად, ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით – მემკვიდრეობითი მამა-პაპეული საკუთრების, ე. ი. სრული საკუთრების უფლებით, ქარდაგისაგან განსხვავებით, რომლის მხოლოდ შემოსავლის ნაწილი ეკუთვნოდა ეკლესიას. აქ კარგი იქნებოდა, ჩართულიყო ლინგვისტი, რომელიც იტყოდა, რომ „სოფელი“ რაღაც კავშირშია ზმნასთან „სუფევა“, რაც ნიშნავს „მეფობას“, „ბატონობას“<sup>1</sup> – „მამაო ჩვენო, ... მოვედინ სუფევა შენი“: „სუფევას“ ადგილას ყველა სხვა ენაზე ზის სიტყვა, რომელიც ნიშნავს „მეფობას“, და რომ ქვეყანას მსოფლიოს ძველქართულად იმიტომ ერქვა „სოფელი“, რომ მას ჰყავს პატრონი – უფალი. დასახლებულ პუნქტს (დაბას) „სოფელი“ ეწოდა მხოლოდ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც საუკუნეები იყო გასული მას შემდეგ, რაც დაბას, დასახლებულ პუნქტს პატრონი (აზნაური) გაუჩნდა.<sup>2</sup>

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მოთხრობილი ამბავი ძალიან ჰგავს სულის საცხოვნებელი ფონდის დაფუძნების მატაკდანში აღწერილ წესს: კერძო პირთა ჯგუფი („აზნაურები“) ერთობლივად აშენებს ტაძარს და სწირავენ მას მამულად (მუდმივ საკუთრებაში) ქონებას („სოფლებს“), რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფდა ტაძრის არსებობას და სწირავენ „ქარდაგებს“, იმ პირობით, რომ ამ ტაძარში მოეხსენიებინათ შემწირველთა მიერ განსაზღვრულ პირთა სულები: სათანადო რიტუალისა და ტრაპეზის ანაზღაურებას უზრუნველყოფდა თითოეული ქარდაგიდან მიღებული შემოსავლის წინასწარ განსაზღვრული ნაწილი.

IV საუკუნის შემდეგ, დროთა განმავლობაში, ტერმინი „ქარდაგი“ ქართული ენიდან გაქრა და კანონზომიერი იქნებოდა, გვევარაუდა, რომ სახელი გაქრა იმ წესის გაქრობასთან ერთად, რომელსაც ეს სახელი ერქვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ არის, უძრავი ქონების შემოსავლის ნაწილის ეკლე-

<sup>1</sup> ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, გვ. 388.

<sup>2</sup> ენათმეცნიერმა მერაბ ჩუხუამ დამდო პატივი და წაიკითხა ამ სტატიის ხელნაწერი. მომაქვს ნაწყვეტი ჩემთან მოწერილი მისი წერილიდან: „ადრეც მოგახსენებდით, რომ სოფ-ელ-ი და სუფ-ე-ვა-ს სიტყვათა მიმართების შესახებ ეტიმოლოგიურ მიმოქცევაში სიმონ ჯანაშიამ შემოიტანა სვანური სვიფ ‘სასოფლო მოედანი, საფიხვნო’. მეც მგონია, რომ ეს მეტად საყურადღებოა, მით უფრო, თუ დადასტურდება სოფ-ელ/სუფ-ე-ვა-ს დამოუკიდებელ სიტყვათა ეტიმოლოგიური კავშირი. კერძოდ, სვან. ვი გადაიხრება სუფ-ე-ვის უ-სკენ, შდრ. სოფ-ელ-ი.“

სიისათვის შენირვის წესი იმ პირობით, რომ ქონება რჩებოდა შემწირველის განკარგულებაში, გვიან შუა საუკუნეებამდე არსებობდა საქართველოში „სამწირველოს“ სახით, რომელსაც საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა ბ. ლომინაძემ.

„სამწირველო“ მონასტერში ან დიდ ეკლესიაში არსებული საგანგებო საკურთხევლის და მონასტრის გარეთ არსებული შეწირული ქონების (მამულის) ერთობლიობაა. სამწირველოს საკურთხეველზე წარმოებდა მხოლოდ შემწირველის მოსახსენიებელი და სააღაპე ღვთისმსახურება, რასაც მატერიალურად უზრუნველყოფდა მონასტერს გარეთ არსებული მამული, რომელიც პირობით გადაცემული ქონება იყო და არასდროს ითვლებოდა მონასტრის საკუთრებად. ამ ქონებას ჰყავდა მეურვე – თვით შემწირველი ან მის მიერ დანიშნული პირი. შემწირველის უფლებები მემკვიდრეობით გადაეცემოდა მის შთამომავლობას, ხანდახან სამწირველოს მამულის მეურვეობაც მემკვიდრეობით რჩებოდა შემწირველის მიერ პირველად დანიშნული მეურვის ოჯახში.

შემწირველი დეტალურად განსაზღვრავდა ორივე მხარის (შემწირველის და შეწირულობის მიმღების) ვალდებულებებს და იმასაც აღნიშნავდა, რომ შეწირული ქონებიდან, დადგენილის გარდა, სხვა არაფერი უნდა გამოერთმიათ: მას ვალად მხოლოდ სულის სამსახური ედო და ეს გარიგება შემდეგ არასდროს უნდა შეცვლილიყო. შეწირული ქონების მოვლა-პატრონობა შეიძლებოდა დაკისრებოდა მწირველსაც, შემწირველის მიერ დანიშნულ მწირველს, რომელიც საკურთხეველს ემსახურებოდა და ამ საქმეში მონასტერს ჩარევის უფლება არ ჰქონდა.

სამწირველოს საკურთხეველისათვის ეკლესია თუ აშენდებოდა, ის ეკვდერის სტატუსით ექვემდებარებოდა („მიეთვლებოდა“) მონასტერს ან დიდ ეკლესიას, მაგრამ მისი (ეკვდერის) ქონება მონასტრის საკუთრებად არ ითვლებოდა, მას განაგებდა ეკვდერის წინამძღვარი.<sup>1</sup>

ვფიქრობ, რომ ბ. ლომინაძის ნარკვევიდან ამოკრებილი სამწირველოს და საეკლესიო საწინამძღვროს ეს თავისებურებები მნიშვნელოვან მსგავსებას იჩენს სულის მოსახსენიებელი ფონდების თავისებურებებთან და ჩემი ვარაუდი „სამწირველოს“ „ქარდაგთან“ კავშირის შესახებ სწორედ ამ მსგავსებას ემყარება, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია და ასეთად დარჩება, სანამ ქართულ საეკლესიო დოკუმენტებში დადასტურებული „სამწირველო“, როგორც იურიდიული ფაქტი, არ შეისწავლება ირანულ სულის მოსახსენიებელ ფონდებთან კავშირში.

<sup>1</sup> ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი მინათმფლობელობა, გვ. 31-52.

P. S. ქარდაგამდე მე მიმიყვანა დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსმა, რომლის სტრუქტურა – რვა თუ ათი ტაძრის (საკურთხევლის) ერთობლიობა დიდ მსგავსებას ავლენს შაბურის მიერ დაარსებულ სამლოცველოთა (ტაძრების, საკურთხევლების) სისტემასთან, მიუხედავად მათ შორის არსებული სამასწლიანი ქრონოლოგიური სხვაობისა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

**აბულაძე, ძეგლები** – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.

**აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი** – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**ანდრონიკაშვილი, ნარკვევები** – ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.

**ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა** – ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, VI (B), 1931, გვ. 288-296.

**გაბაშვილი, ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია** – გაბაშვილი ვ., ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია უძველეს ქართულ წყაროებში, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1966, გვ. 110-118.

**გაგოშიძე, მხედარი ნმ. გიორგის უძველესი გამოსახულებები საქართველოში** – გაგოშიძე გ., მხედარი ნმ. გიორგის უძველესი გამოსახულებები საქართველოში, „საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმომ, მომავალი“ (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბილისი, 2000, გვ. 26-27.

**გაგოშიძე, სოფელ კლდუს წარწერა „ჯელი“** – გაგოშიძე გ., სოფელ კლდუს წარწერა „ჯელი“, „საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე“, I (46), 2010, გვ. 425-434.

**გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან** – გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964.

**ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი მინათმფლობელობა** – ლომინაძე ბ., საქართველოს საპატრიარქო და მისი მინათმფლობელობა, თბილისი, 2010.



**მოქცევაჲ ქართლისაჲ** – მოქცევაჲ ქართლისაჲ, ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები, გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ალექსიძემ, თბილისი, 2007.

**მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში** – მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003.

**ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, შეადგინეს ლ. ბარამიძემ, რ. ენუქაშვილმა, თ. მეტრეველმა, თბილისი, 2009.

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი** – ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I-IV, ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძის, მ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 2005-2020.

**ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია** – ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 1928.

**ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე** – ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, მისივე, „შრომები“, I, თბილისი, 1949, გვ. 131-296.

**Kazhdan, Ševčenko, George** – Kazhdan A., Ševčenko N. P., s.v. *George*, „The Oxford Dictionary of Byzantium“, Volume 2, New York, Oxford, 1991, გვ. 834-835.

**Mango, Zorava** – Mango M. M., s.v. *Zorava*, „The Oxford Dictionary of Byzantium“, Volume 3, 1991, გვ. 2230.

**Sprengling, Third Century Iran** – Sprengling Martin, *Third Century Iran. Sapor and Kartir*, Chicago, 1953.

**Herzfeld, Paikuli** – Herzfeld E., Paikuli. *Monument and inscription of the early history of the Sassanian empire*, I, Berlin, 1924.

**Луконин, Культура сасанидского Ирана** – Луконин В. Г., *Культура сасанидского Ирана*, Москва, 1969.

**Меликишвили, К истории Древней Грузии** – Меликишвили Г. А., *К истории Древней Грузии*, Тбилиси, 1959.

**Периханян, Сасанидский судебник** – Периханян А. Г., *Сасанидский судебник*. „Книга тысячи судебных решений“, (*MĀTAKDĀN Ī HAZĀR DĀTASTĀN*), Ереван, 1973.

**Периханян, Частные целевые фонды в древнем Иране** – Периханян А. Г., *Частные целевые фонды в древнем Иране и проблема происхождения вакфа*, „Вестник Древней Истории“, 1, 1973, гв. 3-25.

**Такайшвили, Три Хроники** – Такайшвили Е. С., *Источники грузинских летописей, Три Хроники*, „Сборник Материалов для Описания Местностей и Племен Кавказа“, вып. 28, 1900, гв. 1-216.

## Kardagi

### Summary

According to the accounts provided in the chronicles of the conversion of Kartli, in the 370s the noblemen had a church built in Mtskheta and donated *soplebi* and *kardagebi* to them.

*Sopeli* (in plural *soplebi*) means a village in modern Georgian, but in old Georgian it denoted the world, universe, earth, land, country, heaven, estate... The word *kardagi* (in plural *kardagebi*) is used only in this chronicle and is a loanword from Middle Persian. The Middle Persian word *kartak* (in plural *kartakan*) itself is derived from Old Persian root *krt* (= cutting) and its basic meaning is a ‘piece’, ‘part’.

The aim of the article is to find out which sense the author of the Georgian chronicle intended in these words.

Given the context it must be concluded: 1. ‘*sopeli*’ is not ‘*kardagi*’, and ‘*kardagi*’ is not ‘*sopeli*’; 2. Like *kardagi*, here *sopeli* cannot denote a specific material property, as it is impossible to believe that noblemen donated, although different, but only two kinds of assets to the church: the property of the church which was usually enriched through donations embraced all the spheres of economy and everyday life.

The term ‘*kartak*’ features in Middle Persian and Parthian versions of the trilingual inscription (ŠKZ) of the second Sassanian Shahansha of Iran Shahpuhr carved on the wall of the tower of Kaabah of Zoroaster in 262 and in inscriptions of Iranian Magupat Kartir of the same period, which tell about founding of Zoroastrian temples and establishing the liturgy of commemoration of souls.

It is the context related to religious activities that the term *kartak* is mainly used in the *matakdan i hazar datastan* – Sassanian collection of verdicts, which was compiled in the sixth century. The collection reveals that in Sassanid Iran there operated a special state body – chancellery, which discussed problems related to religious funds for commemoration of souls and was referred to as *divan-i-kartak* (*kartakan*).

The founder of the fund for commemoration of souls usually had a fire temple or a fire altar built in an existing temple at their own expense, provided its maintenance and allocated property certain part of whose income was designated to ensure regular performance of soul commemoration liturgies and other ceremonial activities at this altar on behalf of the founders and the persons named by them. This property remained in the ownership of the founder and his successors, and only the part of income declared in the written form beforehand was used for the temple.

It is improbable that this Iranian practice would not have spread across Georgia, where, as it is documented, many Zoroastrian temples operated, especially in the Sassanid epoch. It is also understandable that the name of such a fund was also introduced from Iran.

Apparently, this traditional Iranian practice of temple donation was borrowed by Christian church in the fourth century, which received its legal right only in 313 through Edict of Milan, and it was formally recognized in Georgia in the second quarter of the fourth century.

In conclusion, I believe that *sopeli* (*soplebi*) was the property, an estate totally donated to the church built by noblemen unlike *kardagi*, which was the kind of donation only part of the income of which was used for the liturgy of commemoration of souls of donors and their family members, while the property itself remained in hereditary possession of the donor.

The article suggests that although the term '*kardagi*' disappeared from Georgian language, '*sopeli*' changed its meaning; however, the old practice of church donation survived in Georgia until the Late Middle Ages with the names '*samtsirvelo*' and '*satsinamdzghrvro*'.